ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ბორჯომის მუნიციპალიტეტი

განკარგულება:**გ-17. 172317110**
თარიღი:**20/06/2023**

ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარდგინეთში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების (ქუჩა, ჩიხი, შესახვევი) სახელდების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მეორე პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N239 დადგენილების მე-4 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის, მე-7 მუხლისა და საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 25/05/2023 წლის N01/1065 წერილის შესაბამისად:

1. ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარდგინეთში არაბული ციფრების გამოყენებით სახელდებულ ქუჩებს, შესახვევებს და ჩიხებს შეეცვალოს სახელწოდება და ეწოდოს:

ა) 1-ლი ქუჩა, 1-ლი ქუჩის შესახვევი, 1-ლი ქუჩის ჩიხი - წმ. ნინოს ქუჩა, წმ. ნინოს ქუჩის შესახვევი, წმ. ნინოს ქუჩის ჩიხი (დანართი N1);
ბ) მე-2 ქუჩა - ბორჯომის ქუჩა (დანართი N2);
გ) მე-3 ქუჩა, მე-3 ქუჩის შესახვევი - თევდორე მღვდლის ქუჩა, თევდორე მღვდლის ქუჩის შესახვევი (დანართი N3);
დ) მე-4 ქუჩა- ელენე ახვლედიანის ქუჩა (დანართი N4);
ე) მე-5 ქუჩა, მე-5 ქუჩის ჩიხი - დავით კლდიაშვილის ქუჩა, დავით კლდიაშვილის ქუჩის ჩიხი (დანართი N5).

2. განკარგულება მიღებიდან 10 დღის ვადაში გაეგზავნოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურდიულ პირს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.

3. განკარგულება მიღებიდან 10 დღის ვადაში გამოქვეყნდეს სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე.

4. განკარგულება რეაგირებისათვის გაეგზავნოს ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიას.

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში (ქ. ახალციხე, მებაღიშვილის ქ. N60ა).

დავით ზაალიშვილი

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

დანართი N1			
ბორჯომის მუნიციპალიტეტი სოფელი ვარდგინეთი			
N	გეოგრაფიული ობიექტის არსებული სახელდება	გეოგრაფიული ობიექტის შეცვლილი სახელდება	შენიშვნა
1	1-ლი ქუჩა	წმ. ნინოს ქუჩა	
2	1-ლი ქუჩის I შესახვევი	წმ. ნინოს ქუჩის I შესახვევი	
3	1-ლი ქუჩის I ჩიხი	წმ. ნინოს ქუჩის I ჩიხი	

დანართი N2			
ბორჯომის მუნიციპალიტეტი სოფელი ვარდგინეთი			
N	გეოგრაფიული ობიექტის არსებული სახელდება	გეოგრაფიული ობიექტის შეცვლილი სახელდება	შენიშვნა
1	მე-2 ქუჩა	ბორჯომის ქუჩა	

დანართი N3			
ბორჯომის მუნიციპალიტეტი სოფელი ვარდგინეთი			
N	გეოგრაფიული ობიექტის არსებული სახელდება	გეოგრაფიული ობიექტის შეცვლილი სახელდება	შენიშვნა
1	მე-3 ქუჩა	თევდორე მღვდლის ქუჩა	
2	მე-3 ქუჩის I შესახვევი	თევდორე მღვდლის ქუჩის I შესახვევი	

დანართი N4			
ბორჯომის მუნიციპალიტეტი სოფელი ვარდგინეთი			
N	გეოგრაფიული ობიექტის არსებული სახელდება	გეოგრაფიული ობიექტის შეცვლილი სახელდება	შენიშვნა
1	მე-4 ქუჩა	ელენე ახვლედიანის	

დანართი N5			
ბორჯომის მუნიციპალიტეტი სოფელი ვარდგინეთი			
N	გეოგრაფიული ობიექტის არსებული სახელდება	გეოგრაფიული ობიექტის შეცვლილი სახელდება	შენიშვნა
1	მე-5 ქუჩა	დავით კლდიაშვილის ქუჩა	
2	მე-5 ქუჩის I ჩიხი	დავით კლდიაშვილის ქუჩის I ჩიხი	
3	მე-5 ქუჩის II ჩიხი	დავით კლდიაშვილის ქუჩის II ჩიხი	

სოფელი ვარდგიონეთი
N
1-ლი
მე-2
მე-3
მე-4
მე-5
ლეგენდა
სარეკონსტ ქუჩათა ქსელი
1-ლი
მე-2
მე-3
მე-4
მე-5
სოფლის საზღვარი
1:1,500
0
80
160
320
480
640
მეტრი